



სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამის სახელწოდება	ქართულ ენაში მომზადების პროგრამა / Georgian language preparation education program
სწავლების ენა	ქართული
მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი	
პროგრამის მოცულობა კრედიტებით	<p>პროგრამა აგებულია ECTS სისტემის საფუძველზე, სტუდენტზეა ორიენტირებული და ემყარება სტუდენტის აკადემიურ დატვირთვას, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების მისაღწევად.</p> <p>ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 60 ECTS კრედიტს, სემესტრში – 30 კრედიტს. შესაბამისად, პროგრამის სტანდარტული ხანგრძლივობა 1 წელს ანუ 2 სემესტრს შეადგენს.</p>
პროგრამის ხელმძღვანელი	<p>პროგრამის ხელმძღვანელი თეონა ხუფენია (სრული ინფორმაცია პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ის შესახებ იხ. თანდართულ CV-ში)</p>

<p>პროგრამის მიზნები</p>	<p>ქართულ ენაში მოზმადების საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სტუდენტს შესძინოს:</p> <ul style="list-style-type: none"> • სტუდენტს შესძინოს ქართული ენის ცოდნა, რომელიც მას სჭირდება არჩეულ საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის გასაგრძელებლად, წარმატებული სოციალური და პერსონალური ურთიერთობის დასამყარებლად. • ხელი შეუწყოს არაქართულენოვანი მოქალაქეების უნივერსიტეტის სასწავლო გარემოსთან ინტეგრაციას, საუნივერსიტეტო ცხოვრებაში მათ აქტიურ ჩართვას. • გააცნოს სტუდენტს ქართული ენობრივ-კულტურული ღირებულებები, რათა ხელი შეუწყოს სრულფასოვანი მოქალაქის აღზრდას, მის სამოქალაქო საზოგადოებაში ინტეგრაციას.
<p>პროგრამაზე დაშვების წინაპირობა</p>	<ul style="list-style-type: none"> • საქართველოში გაცემული ან მასთან გათანაბრებული სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ფლობა; • ერთიანი ეროვნული გამოცდების მხოლოდ ზოგადი უნარების აზერბაიჯანულენოვანი, სომხურენოვანი, აფხაზურენოვანი ტესტების საფუძველზე შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში ჩარიცხვა; • შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში აკადემიური რეგისტრაციის გავლა.
<p>სწავლის შედეგები</p> <p>(ქართულ ენაში მოზმადების საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული ფლობს შემდეგ დარგობრივ და ზოგად (ტრანსფერულ) კომპეტენციებს)</p>	<p>ცოდნა და გაცნობიერება</p> <ol style="list-style-type: none"> 1. ლექსიკური მარაგის, სინტაქსური და მორფოლოგიური წესების გამოყენებით გააზრებულ გამოთქმებად გარდაქმნა და ქართული ენის ნორმების შესატყვისი კონსტრუქციების აგება 2. ენობრივი ფორმების ათვისება, კონტექსტის შესაბამისად შერჩევა 3. ზეპირი და წერილობითი ტექსტის სტრუქტურაში გარკვევა მის ნაწილებს შორის კავშირის გააზრება. სხვადასხვა ტიპის წერილობითი ტექსტების თავისებურებების გაგება, ინტერპრეტაცია, მხატვრულ და არამხატვრულ ტექსტებს ერთმანეთისაგან გარჩევა; ქართული ენის საბაზისო ლექსიკურ მარაგის ათვისება; 4. მოცემულ გარემოში თავისუფლად ორიენტირება: აზრის გამოთქმის, კამათის, დისკუსიისა ად პრეზენტაციის სტრატეგიების დაუფლება, საკომუნიკაციო სიტუაციიდან გამომდინარე სათანადო ინტონაციის შერჩევა, სპეციალობის ძირითადი ტერმინების ათვისება. 5. სოციალურ გარემოში პიროვნების ადეკვატური თვითგამოხატვისთვის აუცილებელი უნარების დაუფლება. <p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p> <p>1. მოსმენა/გაგება</p> <p>შეუძლია მისთვის ნაცნობ თემაზე ლექციის/ სემინარის შინაარსისა და ძირითადი არგუმენტების გაგება; ასევე, შეუძლია ძირითადი შინაარსის გამოტანა ტელე-/რადიოგადაცემებიდან, რომლებიც ეხება აქტუალურ მოვლენებს, თემატურად შეესაბამება მის მომავალ პროფესიას, ინტერესების სფეროს.</p>

2. კითხვა/გაგება

შეუძლია მთავარი ინფორმაციისა და ძირითადი საკითხების გაგება თანამედროვე პრობლემებზე დაწერილი სტატიებიდან და მოხსენებებიდან; შეუძლია ასევე, ყოველდღიური სალაპარაკო ან პროფესიული ენით დაწერილი ტექსტების გაგება, ინტერნეტში მისთვის საჭირო ინფორმაციის მოძიება და შეუძლია ქართულ ენაზე სხვადასხვა ტიპის ლექსიკონების გამოყენება.

3. ლაპარაკი

შეუძლია წინასწარ მომზადების გარეშე მიიღოს მონაწილეობა საუბრებში მისთვის ნაცნობ თემებზე; შეუძლია წარმოადგინოს საკუთარი შეხედულება გარკვეულ საკითხზე და წარმოაჩინოს მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები; შეუძლია მარტივი, გამართული და აზრობრივად ჩამოყალიბებული წინადადებებით ლაპარაკი საკუთარ გამოცდილებაზე, მიზნებსა და გეგმებზე; შეუძლია თავისი აზრების მოკლედ გადმოცემა და დასაბუთება, შეუძლია წიგნის, სტატიის ან ფილმის შინაარსის გადმოცემა და მისი შეფასება, დარგობრივ თემაზე პრეზენტაციის გაკეთება.

4. წერა

შეუძლია, მისთვის ნაცნობ მარტივ თემებზე აზრობრივად გამართული ტექსტის დაწერა, საკუთარი შთაბეჭდილებებისა და გამოცდილების გადმოცემა, საკუთარი მოსაზრების დასაცავად არგუმენტებისა და კონტრაარგუმენტების მოყვანა, დარგობრივ თემაზე ტექსტის დაწერა ან წერითი გამოცდის ჩაბარება. შეუძლია წერილების წერა, რომლებშიც გარკვეულად აღწერს მოვლენებისადმი პირად მოსაზრებას და დამოკიდებულებებს.

5. გრამატიკა

შეუძლია, სინტაქსური და მორფოლოგიური წესების გამოყენებით ქართული ენის ნორმების შესატყვისად კონსტრუქციების აგება. ენობრივი ფორმების სიტუაციის (კონტექსტის) შესაბამისად შერჩევა და გამოყენება.

დასკვნის უნარი

შეუძლია სხვადასხვა წყაროდან ინფორმაციის მოძიება, დამუშავება და ანალიზი;

კომუნიკაციის უნარი

1. შეუძლია ეფექტური ზეპირი და წერითი კომუნიკაცია ქართულ ენაზე თანაკურსელებთან, ლექტორებთან, მოქალაქეებთან, სხვადასხვა ორგანიზაციასთან. აქვს სათქმელის (მარტივი ფრაზებით) ლოგიკურად გამართვის, ჩამოყალიბებისა და მისაღები ფორმულირებით გადმოცემის უნარი.
2. შეუძლია სხვადასხვა (ვერბალური, არავერბალური) საკომუნიკაციო საშუალებების, საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება.

სწავლის უნარი

	<p>1. შეუძლია საკუთარი სასწავლო პროცესის დაგეგმვა და მართვა.</p> <p>2. შეუძლია ქართულ ენაში ცოდნის გაღრმავებაზე მუშაობა.</p> <p>ღირებულებები შეუძლია განსხვავებული ენობრივ-კულტურულ თვითმყოფადობისა და ღირებულებების გაცნობა, დაფასება და პატივისცემა.</p>
<p>სწავლება-სწავლის მეთოდები</p>	<p>ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტის განმახორციელებელი პირის მიერ სტუდენტისთვის, ცოდნის გადაცემის წარმოებს ისეთი საშუალებებით, როგორცაა: ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული მუშაობა, სემინარი, ელექტრონული რესურსით სწავლება, ელექტრონული სწავლება და სხვ., წავლება-სწავლის მეთოდი შეიძლება მოიცავდეს შესაბამის აქტივობებს (დისკუსია, დებატები, დემონსტრირება, პრეზენტაცია, სემინარი და სხვ.).</p>
<p>სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემა</p>	<p>ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტის დაუფლება სწავლების პროცესში სტუდენტთა აქტიურ მონაწილეობას ითვალისწინებს და შეძენილი ცოდნის უწყვეტი შეფასების პრინციპს ეფუძნება.</p> <p>ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონე ფასდება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის შესაბამისად.</p> <p>ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შეფასების ფორმებს - შუალედურ (ერთჯერად ან მრავალჯერად) და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას (100 ქულა).</p> <p>შუალედური და დასკვნითი შეფასება (შეფასების ფორმები) მოიცავს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნის ან/და უნარის ან/და კომპეტენციების შეფასების ხერხს/ხერხებს (ზეპირი/წერილი გამოცდა, ზეპირი/წერილი გამოკითხვა, საშინაო დავალება, პრაქტიკული/თეორიული სამუშაო და სხვ.). შეფასების კომპონენტი აერთიანებს შეფასების ერთგვაროვან მეთოდებს (ტესტი, ესე/ესეი, დემონსტრირება, პრეზენტაცია, დისკუსია, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დისკუსიაში მონაწილეობა, რეფერატი, წერილობითი დავალება და სხვ.). შეფასების მეთოდი/მეთოდები იზომება შეფასების კრიტერიუმებით ანუ შეფასების მეთოდის საზომი ერთეულით, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე.</p> <p>შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში, რაც რაც აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში.</p> <p>დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით. სტუდენტს კრედიტი ენიჭება მხოლოდ დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.</p> <p>ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის შუალედური და დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარის ხვედრითი წილი აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში.</p> <p>შეფასების სისტემა უშვებს:</p> <p>ხუთი სახის დადებით შეფასებას:</p> <p>(A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა; (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა; (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;</p>

	<p>(D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა; (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.</p> <p>ორი სახის უარყოფით შეფასებას:</p> <p>(FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.</p> <p>ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 კალენდარულ დღეში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.</p>
დასაქმების სფეროები	
სწავლის გაგრძელების საშუალება	სტუდენტს შეუძლია ქართულ ენაზე სწავლა გააგრძელოს ნებისმიერ საბაკალავრო პროგრამაზე.
პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა	<p>ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად გამოიყენება სტუდენტებისთვის შეზღუდვების გარეშე ხელმისაწვდომი უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსი, კერძოდ:</p> <ul style="list-style-type: none"> • სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიები და საკონფერენციო დარბაზი; • კომპიუტერული ტექნიკითა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით აღჭურვილი ბიბლიოთეკა; • კომპიუტერული კლასები, ინტერნეტში და შიდა ქსელში ჩართული კომპიუტერული ტექნიკა და სწავლის/სწავლების პროცესის ადეკვატური კომპიუტერული პროგრამები; • სხვადასხვა ტექნიკური მოწყობილობები და ა.შ. <p>საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი სახელმძღვანელო და მეთოდური ლიტერატურით. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა სტუდენტებს უზრუნველყოფს სასწავლო კურსების სილაბუსებით გათვალისწინებული შესაბამისი ბეჭდური და ელექტრონული სახელმძღვანელოებით, სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო ლიტერატურით, აგრეთვე ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის მონაცემთა ბაზით და უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსებული ელექტრონული კატალოგით.</p>
პროგრამის ადამიანური რესურსი	ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება უზრუნველყოფილია შესაბამისი ადამიანური რესურსით. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კომპონენტებს უძღვება სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, აგრეთვე სათანადო გამოცდილებისა და კომპეტენციების მქონე მოწვეული სპეციალისტები. (სრული ინფორმაცია პროგრამის ხელმძღვანელის შესახებ იხ. თანდართულ ნუსხაში)

პროგრამის სტრუქტურა

ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო სასწავლო პროგრამის სასწავლო კომპონენტი მოიცავს: ორ მოდულსა და 6 სასწავლო კურსს	
მოდული ქართული ენის სამეტყველო ფუნქციები 1	მოდული ქართული ენის სამეტყველო ფუნქციები 1 მოიცავს 20 კრედიტს და შედგება ოთხი 5 კრედიტიანი კურსისაგან (წერა, კითხვა, მოსმენა, ლაპარაკი)
მოდული ქართული ენის სამეტყველო ფუნქციები 2	მოდული ქართული ენის სამეტყველო ფუნქციები 2 მოიცავს 15 კრედიტს და შედგება სამი 5 კრედიტიანი კურსისაგან: (ფუნქციური წერის ელემენტები, ლექსიკა და კითხვის სტრატეგიები, ზეპირმეტყველების სტრატეგიები)

პროგრამის საგნობრივი დატვირთვა

#	სასწავლო კურსის დასახელება	კოდი	კურსის ტიპი	ECTS კრედიტი	სულ საათების რაოდენობა	სემესტრი		სამომოდულო სემესტრი	საგაზაფხულო სემესტრი	ლექტორი / ლექტორები	დაშვების წინაპირობა		
						ლექცია/სამუშაო ჯგუფი / პრაქტიკული	2 შუალედური / დასკვნითი გამოცდები					I სემესტრი (საათები კვირაში)	II სემესტრი (საათები კვირაში)

1	მოდული ქართული ენის სამეტყველო ფუნქციები 1	SPG.1		20							I			
	წერა	SPG.1.1	სავალდ.	5	125	45	4	76	3		I		ასმათ შონია	წინაპირობის გარეშე
	კითხვა	SPG.1.2	სავალდ.	5	125	60	4	61	4		I		ასმათ შონია	წინაპირობის გარეშე
	მოსმენა	SPG.1.3	სავალდ.	5	125	45	4	76	3		I		ასმათ შონია	წინაპირობის გარეშე
	ლაპარაკი	SPG.1.4	სავალდ.	5	125	45	4	76	3		I		ასმათ შონია	წინაპირობის გარეშე
2	ქართული ენის კომუნიკაციური ასპექტები 1	SPG.2	სავალდ.	5	125	61	4	61	4		I		თეონა ხუფენია	წინაპირობის გარეშე
3	ქართული ენის ორთოგვია და მეტყველების კულტურის საკითხები	SPG.3	სავალდ.	5	125	45	4	76	3		I		ლუიზა ხაჭაპურიძე	წინაპირობის გარეშე
4	მოდული ქართული ენის სამეტყველო ფუნქციები 2	SPG.4		15										
	ფუნქციური წერის ელემენტები	SPG.4.1	სავალდ.	5	125	45	4	76		3		II	რეზო შეროზია	წერა
	ლექსიკა და კითხვის სტრატეგიები	SPG.4.2	სავალდ.	5	125	60	4	61		4		II	რეზო შეროზია	კითხვა
	ზეპირმეტყველების სტრატეგიები	SPG.4.3	სავალდ.	5	125	45	4	76		3		II	რეზო შეროზია	ლაპარაკი
5	ქართული ენის კომუნიკაციური ასპექტები 2	SPG.5	სავალდ.	5	125	60	4	61		4		II	თეონა ხუფენია	ქართული ენის კომუნიკაციური ასპექტები 1
6	ქართული ენის მართლწერა	SPG.6	სავალდ.	5	125	45	4	76		3		II	ლუიზა ხაჭაპურიძე	წინაპირობის გარეშე

9	ქართული ენის პრაქტიკული გრამატიკა	SPG.7	არჩ	5	125	45	4	76	3		II	თეონა ხუფენია	წინაპირობის გარეშე
9	ქართული ენის სპეცურსი (სპეციალობის ტერმინოლოგიით)	SPG.8	არჩ			45	4	76				ასმათ შონია	წინაპირობის გარეშე
3	სულ			60	1500	600	48	852	20	20			

სწავლის შედეგების რუკა

sagani/moduli	codna da gacnobiereba					codnis praqtikaSi gamoyeneba					daskvnis gakeTebis unari	კომუნიკაციის unari		swavlis unari	ღირებულებები	
	1	2	3	4	5	1	2	3	4	5	1	1	2	1		2
წერა	X	X	X						X			X				
კითხვა			X				X				X				X	X
მოსმენა					X	X					X		X		X	X
ლაპარაკი	X	X			X			X				X	X			X
ქართული ენის კომუნიკაციური ასპექტები 1, 2	X				X					X		X	X	X	X	
ქართული ენის ორთოგრაფია და მეტყველების კულტურის საკითხები				X				X				X			X	
ფუნქციური წერის ელემენტები	X	X	X						X			X				
ლექსიკა და კითხვის სტრატეგიები			X				X				X				X	X
ზეპირმეტყველების სტრატეგიები	X	X		X	X			X				X	X			X
ქართული ენის მართლწერა	X	X								X				X	X	
ქართული ენის პრაქტიკული გრამატიკა	X	X								X		X		X		
ქართული ენის სპეცურსი (სპეციალობის ტერმინოლოგიით)	X			X				X			X				X	

ინფორმაცია ადამიანური რესურსის შესახებ

№			
	წერა	ასმათ შონია	ფილოლოგიის დოქტორი
	კითხვა	ასმათ შონია	ფილოლოგიის დოქტორი
	მოსმენა	ასმათ შონია	ფილოლოგიის დოქტორი
	ლაპარაკი	ასმათ შონია	ფილოლოგიის დოქტორი
	ქართული ენის კომუნიკაციური ასპექტები 1, 2	თეონა ხუფენია	ფილოლოგიის დოქტორი
	ქართული ენის ორთოგრაფია და მეტყველების კულტურის საკითხები	რეზო შეროზია	ფილოლოგიის დოქტორი
	ფუნქციური წერის ელემენტები	რეზო შეროზია	ფილოლოგიის დოქტორი
	ლექსიკა და კითხვის სტრატეგიები	რეზო შეროზია	ფილოლოგიის დოქტორი
	ზეპირმეტყველების სტრატეგიები	თეონა ხუფენია	ფილოლოგიის დოქტორი
	ქართული ენის მართლწერა	ლუიზა ხაჭაპურიძე	ფილოლოგიის დოქტორი
	ქართული ენის პრაქტიკული გრამატიკა	თეონა ხუფენია	ფილოლოგიის დოქტორი
	ქართული ენის სპეცურსი (სპეციალობის ტერმინოლოგიით)	ასმათ შონია	ფილოლოგიის დოქტორი